



ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

2014

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი გამოიყენეთ მხოლოდ შავი სამუშაოსთვის!**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი შედგება სამი ნაწილისგან: I. დახურული კითხვები; II. “წინადადების შევსება”, „ჭეშმარიტია-მცდარია“, შესაბამისობა; III. ღია კითხვები.

ტესტის I ნაწილში მოცემული დავალებების (№1-25) და ასევე II ნაწილის № 38 დავალების შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელზე შესაბამისი უჯრედები მონიშნოთ X-ით. თუ პასუხების ფურცელზე უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ უჯრედი მთლიანად გააშავეთ და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელზე დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დააწეროთ სხვა პასუხი. წერეთ გარკვევით. ღია დავალებების პასუხები საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ მონაკვეთზე განათავსეთ.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს. ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება!

პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ გელიანი კალმით; პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი, არ გასწორდება!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ – 3 საათი 30 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

1-25 დავალების ინსტრუქცია:

ოთხი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ, დ) მონიშნეთ ერთი.

პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით.

საილუსტრაციო მასალა დახურული კითხვებისთვის №№1-8

1.



2.



1. დააკვირდით საილუსტრაციო მასალას და აღნიშნეთ, რა დანიშნულების მქონე არქიტექტურული ნაგებობაა წარმოდგენილი სურათებზე?

ა. საფორტიფიკაციო (თავდაცვითი);

ბ. საკულტო (საეკლესიო);

გ. მემორიალური;

დ. საზოგადოებრივი.

2. სურათებზე წარმოდგენილია ნაგებობის

- ა. ინტერიერი;
- ბ. ექსტერიერი;
- გ. ტრანსეკტი;
- დ. საკურთხეველი.

3. რა სტილის ნაგებობაა წარმოდგენილი პირველ სურათზე?

- ა. რომანული;
- ბ. გოთური;
- გ. კლასიციზტური;
- დ. ბაროკო.

4. რომელი ქვეყნის არქიტექტურული ნიმუშებია წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაზე?

- ა. გერმანია
- ბ. ინგლისი
- გ. ესპანეთი
- დ. საფრანგეთი

5. რა არ არის დამახასიათებელი პირველ სურათზე წარმოდგენილი ნაგებობისათვის?

- ა. დეკორატიული მორთულობისა და შეისრული თაღების სიმსუბუქე;
- ბ. მასიური, მძიმე ფასადის კოშკები;
- გ. ნახევარწრიული ფორმის თაღების საშუალებით გაფორმებული მასიური კედელი;
- დ. პორტალის (შესასვლელი) თავშეკავებული, სადა დეკორატიული გაფორმება.

6. რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი (წამყვანი) მხატვრული ელემენტი მეორე სურათზე წარმოდგენილი ნაგებობის გაფორმების დეკორატიულ სისტემაში?

- ა. ნახევარწრიული ფორმის სარკმელები;
- ბ. შეისრული ფორმის ნიშები რელიეფებისათვის;
- გ. შეისრული ფორმის სარკმელები;
- დ. წრიული (ვარდული) ფორმის სარკმელები.

7. რა განასხვავებს მეორე სურათზე წარმოდგენილ ნაგებობას პირველ სურათზე წარმოდგენილი ნაგებობისგან?

- ა. ფასადის სამ იარუსად დაყოფა;
- ბ. პირველ იარუსზე 3 კარისაგან შემდგარი პორტალი;
- გ. ფასადის ზემოთ აზიდული შეისრული ფორმები;
- დ. ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზი.

8. რა აქვთ საერთო საილუსტრაციო მასალაზე გამოსახულ ნაგებობებს?

- ა. ფასადის არქიტექტურული გააზრება;
- ბ. არქიტექტურული მასების სიმსუბუქე;
- გ. დეკორატიული მორთულობის სიუხვე;
- დ. მასიური არქიტექტურული ფორმების სიმყარე.



9. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. გამოყენებითი ხელოვნება;
- ბ. მხატვრობა;
- გ. არქიტექტურა;
- დ. ქანდაკება.

10. რა მასალაშია შესრულებული ფოტოზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?

- ა. მარმარილო;
- ბ. ხე;
- გ. ბრინჯაო;
- დ. თიხა.

11. სტილური თვალსაზრისით რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?

- ა. დინამიკური კომპოზიცია, შექმნილი ფიგურათა პოზების, მოსასხამთა ნაკეცების მკვეთრი, ტეხილი, ფორმების საშუალებით;
- ბ. მძაფრი ემოციები, შექმნილი შუქ-ჩრდილის კონტრასტითა და ექსპრესიული ფორმებით;
- გ. ღრმა სულიერი განცდები, რომელიც მოკლებულია თეატრალურ პათეტიზმს;
- დ. ექსპრესიული კომპოზიციის „ფერწერულ“ - რეპრეზენტაციული ხასიათი.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი მხატვრული ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. ბაროკო;
- ბ. რენესანსი;
- გ. კლასიციზმი;
- დ. რომანტიზმი.

13. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორია

- ა. მიქელანჯელო ბუონაროტი;
- ბ. დონატელო;
- გ. ლუკა დელა რობია;
- დ. ლორენცო ბერნინი.

14. რა თემაზეა შექმნილი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?


- ა. წმინდა ტერეზას ექსტაზი;
- ბ. ხარება;
- გ. წმინდა ეკატერინეს წამება;
- დ. ქრისტეს დატირება.

15. სად მდებარეობს ხელოვნების წარმოდგენილი ნიმუში?

- ა. ფლორენციაში;
- ბ. პადუაში;
- გ. ვენეციაში;
- დ. რომში.

16. ილუზორულად რაზეა განთავსებული ადამიანთა ფიგურები?

- ა. მთის ფერდობზე;
- ბ. ღრუბელზე;
- გ. წყლის ზედაპირზე;
- დ. კლდის ქანობზე.



17 ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. დაზგური ფერწერის ნიმუში;
- ბ. მონუმენტური მხატვრობა (ფრესკა);
- გ. მინიატურა;
- დ. ხატწერა.

18. ხელოვნების რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია?

- ა. ყოფითი;
- ბ. პორტრეტი;
- გ. რელიგიური;
- დ. ისტორიული.

19. რა თემაზეა შექმნილი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?

- ა. სამოთხიდან განდევნა;
- ბ. დავითი და გოლიათი;
- გ. მომაკვდავი მონა;
- დ. ადამის შექმნა.

20. სად მდებარეობს წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?

- ა. სან მარინოში;
- ბ. ვატიკანში;
- გ. ტურინში;
- დ. მილანში.

21. რომელი მხატვრული ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. ანტიკური ეპოქა;
- ბ. რენესანსი;
- გ. ბაროკო;
- დ. კლასიციზმი.

22. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორია

- ა. ლეონარდო და ვინჩი;
- ბ. ნიკოლა პუსენი;
- გ. მიქელანჯელო ბუონაროტი;
- დ. მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯო.

23. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში განთავსებულია

- ა. ინტერიერის აღმოსავლეთ კედელზე;
- ბ. ინტერიერის პლაფონზე (ჭერზე);
- გ. ინტერიერის დასავლეთ კედელზე;
- დ. ინტერიერის სამხრეთ კედელზე.

24. სტილური თვალსაზრისით, რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?

- ა. მთავარია ადამიანთა ფიგურები, პეიზაჟი მხოლოდ ფონის ფუნქციას ასრულებს;
- ბ. შუქ-ჩრდილის თანაბარი მონაცვლეობა, რაც ფორმათა მოდელირების, მათი პლასტიკურობის გამოვლენას ეხმარება;
- გ. ფრონტალურად გაშლილი კომპოზიციის სადღესასწაულო ხასიათი;
- დ. ადამიანის ფიგურები და სივრცე გადმოცემული ინტუიტიურად, ანატომიისა და პერსპექტივის კანონების ცოდნის გარეშე.

25. რა მხატვრული საშუალებითაა გადმოცემული იდეა კომპოზიციაში?

- ა. მშვიდი და დინამიკური სხეულების დაპირიპირებით;
- ბ. ლოკალური ფერადოვანი ლაქების კონტრასტით;
- გ. შუქ-ჩრდილის საშუალებით შექმნილი სკულპტურული ფორმებით;
- დ. მკაფიო ნახატითა და ფერადოვანი გადაწყვეტის თავისებურებით.

დავალება 26-29. წინადადების შევსება

ინსტრუქცია: დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც ერთი ან ორი სიტყვაა გამოტოვებული. ცარიელი ადგილები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული, ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ.

ნიმუში: ერთი ფერის თანდათანობით გაღიავენას და/ან გამუქებას — *გლაცია* — ეწოდება.

26. სახვითი ხელოვნების ელემენტს, რომელიც გამოსახულების ზედაპირის თავისებურებას გამოხატავს _____ ეწოდება.

27. თუ ზედმეტად ბევრი მუქი ტონალობის მონაკვეთი კომპოზიციის მხოლოდ ერთ არეზეა გამოყენებული, შეიძლება ითქვას, რომ _____ დარღვეულია.

28. ერთი და იგივე გამოსახულების რიტმული განმეორება _____ ქმნის.

29. კუთხეს, საიდანაც მხატვარი ხედავს, აღიქვამს და გამოხატავს საგანს ან მოქმედების ადგილს _____ ეწოდება.

დავალება 30- 37. „ჭეშმარიტია-მცდარია“

ინსტრუქცია: შეაფასეთ ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუ მიიჩნევთ, რომ მტკიცებულება მცდარია, საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ მცდარად შეფასებული მტკიცებულების სწორი ფორმულირება. მხოლოდ მცდარის შესაბამისი უჯრის მონიშვნის შემთხვევაში პასუხი სწორად არ ჩაითვლება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

30. სიმეტრია კომპოზიციაში გამოსახულების იმგვარად განაწილებას ნიშნავს, როდესაც ერთი მხარე მეორეს ან იმეორებს, ან სარკისებურად ირეკლავს.

ჭეშმარიტია მცდარია

ღ

31. სპექტრის ფერების ერთობლიობა თეთრ ფერს ქმნის.

ჭეშმარიტია მცდარია

ღ

32. გეგმაში ჯვრის ფორმისა და გუმბათიანი გადახურვის მქონე ნაგებობას ქართულ საკულტო არქიტექტურაში ბაზილიკა ეწოდება.

ჭეშმარიტია მცდარია



33. ხაზის საშუალებით გრაფიკულ კომპოზიციაში ემოციის გადმოცემა შესაძლებელია.

ჭეშმარიტია მცდარია



34. ფერზე სინათლის ატმოსფერული ეფექტების ასახვა ექსპრესიონისტი მხატვრების ინტერესის უმთავრესი საგანია.

ჭეშმარიტია მცდარია



35. ხაზი, ფერი, ფაქტურა და ფორმა სახვითი ხელოვნების ელემენტებია.

ჭეშმარიტია მცდარია



36. წვრილი წერტილოვანი მონასმები პუნტილისტი მხატვრების ძირითადი სახვითი საშუალებაა.

ჭეშმარიტია მცდარია




37. სიურეალიზმი გამოსახულებას შლის გეომეტრიულ ფორმებად.

ჭეშმარიტია მცდარია



დავალება 38. დაადგინეთ შესაბამისობა

ინსტრუქცია - სურათზე წარმოდგენილია მხატვარ მორის ეშერის მიერ შესრულებული გარფიკული სურათი “ხელები, რომელიც ხატავენ“. გრაფიკული სურათის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში:



- ა. შუქი;
- ბ. ჯვარედინი დამტრიხვა;
- გ. ათინათი (ბლიკი);
- დ. დაცემული ჩრდილი;
- ე. ჩრდილი;
- ვ. მონასმი;
- ზ. კონტური.
- თ. რეფლექსი

ჩამონათვალში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების 8 დასახელებაა მოცემულია. 6 მათგანი მითითებულია ეშერის სურათზე. თითოეულს რიცხვების სახით თითო აღნიშვნა შეესაბამება. შეუსაბამეთ ჩამონათვალში მოცემულ ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს სურათზე მონიშნული ელემენტები და პრინციპები და შესაბამისი უჯრა პასუხების ცხრილში X-ით მონიშნეთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

აღნიშვნები სურათზე დავალების ნომერი №	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
38.1								
38.2								
38.3								
38.4								
38.5								
38.6								

წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.


ტესტში დატოვებულია ადგილები შავი სამუშაოსათვის. ეს ნაწერი არ სწორდება. გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

დავალება 39 (4 ქულა). მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ფერწერული ნიმუში გარკვეულ მხატვრულ ეპოქას ან/და მიმდინარეობას. ხელოვნების ნიმუშისა და თქვენ მიერ დასახელებული პერიოდისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ნიმუშებზე არგუმენტირებული მსჯელობით გაამყარეთ თქვენი მოსაზრება.

შეასრულეთ წერითი დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. გაანალიზეთ წარმოდგენილი სურათის მხატვრული თავისებურებები ფორმისა და სახვითი საშუალებების მიხედვით;
2. თქვენ მიერ გაანალიზებული სახვითი საშუალებების მიხედვით მიაკუთვნეთ სურათი მხატვრულ სტილს/მიმდინარეობას;
3. განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული მხატვრული სტილის/მიმდინარეობის ზოგადი თავისებურება;
4. იმსჯელეთ სტილის/მიმდინარეობისა და სურათის მხატვრულ-სტილურ შესაბამისობაზე.



შავი სამუშაოსთვის

დავალება 40 (4 ქულა). რომელ რელიგიასთან ასოცირდება წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობა? გაანალიზეთ ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა და გაფორმების დეკორატიული სისტემა რელიგიურ თავისებურებებთან მიმართებაში.




შავი სამუშაოსთვის

დავალება 41 (4 ქულა). მოახდინეთ ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირება. რაზე მოგვითხრობს წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში? გააანალიზეთ ნამუშევარში გამოყენებული 3 სახვითი საშუალება და 4 გამოსახულება, რომელსაც სიმბოლოს დატვირთვა აქვს, რაც ნამუშევარში აზრისა და იდეის გადმოსაცემადაა გამოყენებული.



შავი სამუშაოსთვის



დავალება 42 (15 ქულა). გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რეპროდუქციები და მითითებების 4 პუნქტის მიხედვით შეასრულეთ დავალება.

მარცხნივ - წილკნის ღვთისმშობლის ხატი, IX ს.

მარჯვნივ - რაფაელი. კაუპერის მცირე მადონა, 1505 წ.



შეადარეთ გამოსახულებები ერთმანეთს:

1. დაადგინეთ ხელოვნების ნიმუშების საერთო და განმასხვავებელი მხატვრული ნიშნები: რა თემაზეა შექმნილი ხელოვნების ნიმუშები? ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული აზრისა და იდეის გამოსახატად და/ან ხასიათის შესაქმნელად? (5 ქულა)
2. ხელოვნების თითოეული ნიმუში სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნეთ ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება! (3 ქულა).
3. განიხილეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ კონტექსტში - იმსჯელეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიის, რელიგიისა და კულტურის თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე, რამდენადაა ეს გავლენები

